აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. აბაშა, 2023 წლის 17 ივლისი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა (ქ. აბაშა, უ. კაჭარავას №1).

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე გია კუცია.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: როინი კაჭარავა, მურთაზი ჯალაღონია,შოთა ჭანტურაია,ქეთევან ლობჟანიძე,მერაბ მელია და ბაჩუკი ქვილითაია.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე.

დღის წესრიგი

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ 2023 წლის 1-ლ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ. კუცია

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 7; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად

მოისმინეს :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ 2023 წლის 1-ლ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს:გ.კუცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ანგარიში - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ 2023 წლის 1-ლ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: მ. ჯალაღონიამ და ბ. ქვილითაიამ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე -7 წინააღმდეგი -0) აბაშის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ

დაადგინა:

ანგარიში-აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ 2023 წლის 1-ლ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ გატანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულ იქნა და კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა .

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის,

ეკონომიკური და ქონების მართვის

კომისიის თავმჯდომარე: გ.კუცია